



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93221541

თარიღი:03/06/2022

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ობიექტების - უბნების, ქუჩების, შესახვევების და ჩიხების სახელდებისათვის გეოგრაფიული ობიექტების ისტორიული დასახელების შესწავლისა და მოსახლეობის ინტერესების გამოკვეთის მიზნით , ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების(რეგლამენტის) 34-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით :

მუხლი 1

შეიქმნას საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 2

სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს სამი თვით.

მუხლი 3

სამუშაო ჯგუფი არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე - ივანე ხაჩიძე;

წევრები: კარლო ჯამბურია,

ეკა ლეკიაშვილი,

გიორგი ღამბაშიძე,

ისაკო ცქიფურიშვილი,

ვახტანგი დევიძე,

ფირუზი გელაშვილი.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 5

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

